ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი #18

ქ. ცაგერი 26 ნოემბერი, 2025 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვასილ საღინაძე
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მარიკა კოპალიანი, ონისე ჩაკვეტაძე;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: გიორგი გუგავა, თამაზი ჭაბუკიანი, ზაზა ყურაშვილი, ელენე საღინაძე, ნოდარი საღინაძე,
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე: დავით მუშკუდიანი;
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეები: გივი გოგებაშვილი, ნატო ბურჯალიანი, ვიქტორ ცხვედიანი, მამუკა მამარდაშვილი, მამუკა ჩიქოვანი, ოთარი თვარაძე, ბესიკი ჩანქსელიანი.

ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარე: ლაშა ლეთოდიანი;
ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარის მოადგილე: ნიკა ქომეთიანი;
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, ჯონი ხალიანი, გორდა გვიშიანი, მარი ბურჯალიანი, თინათინი ნემსწვერიძე, თამაზ თვარაძე, ხვიჩა ჩხეტიანი, ბერდია კვირიკაშვილი, გოგიტა ახვლედიანი, კახა ყურაშვილი, გოდერძი ახვლედიანი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: ქეთევან კოპალიანი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გიორგი ხმელიძე
მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი: გიორგი კვირიკაშვილი
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი: შორენა დვალი
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის სპეციალისტი: იური ლარცულიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო მეგრელი

ინფორმაცია

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მალხაზ მურცხვალაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.
2. საკრებულოს წევრის გოდერძი ახვლედიანის უფლებამოსილების ცნობად მიღების შესახებ.

/ვ. საღინაძე, ე. საღინაძე/

დადგენილებები:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ვ. საღინაძე, თ. ონიანი/

3. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების განხორციელების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

3. მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ტურიზმის და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. კვირიკაშვილი/

4. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

სხდომის თავმჯდომარემ - ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

დადგენილებები:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ვ. საღინაძე, თ. ონიანი/

3. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების განხორციელების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

3. მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ტურიზმის და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. კვირიკაშვილი/

4. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

ინფორმაცია:

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ელენე საღინაძემ საკრებულოს წევრებს აცნობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მალხაზ მურცხვალაძის უფლებამოსილების შეწყვეტა პირადი განცხადების საფუძველზე (№19/8125311001-81 07.11.2025წ)

კანონმდებლობი შესაბამისად აღნიშნულის შესახებ ეცნობა №45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიას.

№45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიისგან შემოვიდა წერილი (№45/55 11.11.2025წ.), აღნიშნული წერილის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 12/2025 განკარგულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის მოწვევის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ, რიგით მომდევნო კანდიდატად წარმოდგენილია გოდერძი ახვლედიანი.
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად ცნობად მიიღო: ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მალხაზ მურცხვალაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია და საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ გოდერძი ახვლედიანის უფლებამოსილების ცნობა.

საკითხი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან კოპალიანმა. 2025 წლის ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა განმარტებითი ბარათით:

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის #22 დადგენილებით და განისაზღვრა 13469,2ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მეშვიდე ცვლილება საფუძველია საქართველოს მთავრობის 2025 14 ნოემბრის #1881 განკარგულება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა არაუმეტეს 55444557(ხუთიმილიონოთხასოროცდაოთხიათასხუთასორმოცდაჩვიდმეტი) ლარისა.

აღნიშნული ცვლილებით ხდება მუნიციპალიტეტისათვის თავდაპირველად გამოყოფილი თანხის დაზუსტება, კერძოდ, ორი პროექტი დაყვანილი იქნა სახელშეკრულებო ღირებულებაზე, კერძოდ, სოფ.სურმუშის სიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპის სამუშაოები და სოფელ ჩხუტელში შიდა საუბნო გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობა . სულ განკარგულება შემცირდა 49307ლარით. შესაბამისად შემცირდა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები, კერძოდ,

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგ.კოდი 02 01 01) - შემცირდა 49307 ლარით.

(სოფ. სურმუშის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპის სამუშაოები და სოფელ ჩხუტელში შიდა საუბნო გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობა.

მუნიციპალიტეტის 2025წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა აგრეთვე დაკავშირებულია რიგ ფაქტობრივ გარემოებებთან. მუნიციპალიტეტის მერიაში დაფიქსირებულია მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მოხსენებითი ბარათები, ა(ა)იპ-ის განცხადებები. მერიამ შეისწავლა შემოსული წერილები, შესაბამისმა სამსახურებმა ადგილზე საკითხის შესწავლით შეადგინა სათანადო დოკუმენტაცია: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მოხსენებითი ბარათები და დასკვნები, რეკომენდაციები. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, საჭიროა ბიუჯეტის პრიორიტეტებსა და პროგრამების მიხედვით დამატებითი ღონისძიებების განხორციელება. მერიამ მიმდინარე დონეზე შეისწავლა ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების კუთხით. დაკონკრეტდა დამატებით გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა და განისაზღვრა დამატებით საჭირო ფინანსური რესურსების საორიენტაციო რაოდენობა. ინფორმაციას წარმოგიდგენთ პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით:

01 00 - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები:

- მუნიციპალიტეტის მერია - 32,1ათ.ლარი-თანხები საჭიროა შრომის ანაზღაურების ფონდისა და საქონელი და მომსახურეობის მუხლების გაზრდისათვის.(ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები).

02 0 - ინფრასტრუქტურის განვითარება:

- 02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 30,0ათ.ლარი.

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თოვლისაგან და მეწყერისაგან წმენდის მომსახურება (მრავალწლიანი შესყიდვა 80,1ათ.ლარი), მათ შორის მ/წელს ასანაზღაურებელი თანხა 30,0ათ,ლარი.

02 03 გარე განათება

- გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურების გაზრდა, ვინაიდან გაიზარდა განათების ქსელი 25,0ათ,ლარი.

02 05 კეთილმოწყობის ღონისძიებები

- საახალწლო განათებებისთვის სხვადასხვა სახის მასალებისა და მოწყობილობების შესყიდვა.

არსებული რესურსის გათვალისწინებით დამატებით საჭიროა - 10,0ათ.ლარი

05 02 06 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება 8,0ათ,ლარი.

- მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ცხენოსნობის სხვადასხვა სახეობებში ტურნირი - 2955 ლარი.
- ლიტერატურული საღამო – 1500ლარი.
- საახალწლო საჩუქრები ბავშვებისათვის - 3545

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა ა(ა)იპ-მა წერილობითი მოთხოვნები სუბსიდიის გაზრდასთან დაკავშირებით დააყენეს შემდეგი მოცულობით:

- ა(ა)იპ „კომპლექსური სასპორტო სკოლა“ – 14,4ათ.ლარი - სოფ.ლაჯანაში ფუნქციონირებადი ჭიდაობის სექციის დამატებით სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

- ა(ა)იპ „კულტურის ცენტრი“ – 17,7ათ.ლარი - მწვანე თეატრზე დაზიანებული კანალიზაციის სისტემის შეკეთებისათვის, მიმდინარე წლის განმავლობაში ანსამბლების მომღერათლა ხელფასების მოწესრიგებისათვის, „რუსუდან ყურაშვილის 75 წლის იუბილე“ და „გრიშა მდივნის საელობის სახალხო თეატრის 125 წლის იუბილე“.

მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებით ჩასატარებელი ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით განიხილა მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა შემოსულობების და გადასახდელების კუთხით. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შემოსავლების გაზრდა არარეალურია, ამასთან ერთად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არაა იმ მოცულობის, რომ რაიმე გაუთვალისწინებელი ღონისძიება განვახორციელოთ. მიმდინარე ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩია გაანალიზდეს ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილი პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით და შესაძლო ეკონომიები გადანაწილდეს ახალი საჭიროებებიდან გამომდინარე. კერძოდ,

შემცირდეს:

- რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება 80,0ათ.ლარით,
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა - 21,7ათ.ლარით,
- ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის დაფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი - 5,5ათ.ლარით,
- მუნიციპალიტეტის საკრებულო - 30,0ათ.ლარი.

გაიზარდოს:

- მუნიციპალიტეტის მერია (ორგ.კოდი 01 01 02)- 32,1ათ.ლარი
- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგ.კოდი 02 01) - 30,0ათ.ლარი,
- გარე განათება (ორგ.კოდი 02 03) -25,0ათ.ლარი.
- კეთილმოწყობის ღონისძიებები(ორგ.კოდი02 05) - 10,0ათ.ლარი.
- კულტურული ღონისძიებები (ორგ.კოდი 05 02 06) -8,0ათ,ლარი.
- ა(ა)იპ „კულტურის ცენტრი“(ორგ.კოდი 05 02 01) - 17,7ათ.ლარი.
- ა(ა)იპ „კომპლექსური სასპორტო სკოლა“(ორგ.კოდი 05 01 01) – 14,4ათ.ლარი.
-

ასევე საკრებულოს გვინდა ვაცნობოთ, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 12 ნოემბრის #ბ80.802531618 ბრძანების შესაბამისად, ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის N1604 განკარგულების შესაბამისად საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 224660 (ორასოცდაოთხიათასექვსასსამოცი ლარი) ლარის ოდენობით, საჯარო სკოლებისათვის გაზიფიცირების/საწვავის/ბრიკეტების/ შეშის შესყიდვის უზრუნველყოფის მიზნით. თანხა აისახა 01 00პრიორიტეში „მუნიციპალიტეტის მერია „ორგ.კოდი 01 01 02“.

ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 12 სექტემბრის #ბ80.80252552 ბრძანების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 02 00 პრიორიტეტში თანხები გადანაწილდა ქვეპროგრამებს შორის, კერძოდ შემცირდა წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 10,0ათ.ლარით, სანიაღვრე არხების მშენებლობა, ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია - 5,0 ათ.ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები 26,0ათ.ლარით და გაიზარდა გზის სისტემების განვითარება- 41,0 ათ.ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იზრდება 286,3ათ, ლარით და შეადგინს 25769,7 ათ.ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 2

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით ისაუბრა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა თამთა ონიანმა, განმარტა რომ ცვლილება გამოიწვია თანამდებობის პირების რაოდენობის შემცირებამ, კერძოდ წინა მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებდა ოთხი ფრაქცია, შესაბამისად ოთხი ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის მოადგილეები, ახალი მოწვევის საკრებულოში კი დაფუძნდა ორი ფრაქცია, შესაბამისად არის ორი ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის მოადგილეები.

აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილება მოვიდეს საკრებულოს თანამდებობის პირთა რაოდენობასთან შესაბამისობაში.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 3

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა პეციალისტმა შორენა დვალმა, განმარტა რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია ერთიანი საქმისწარმოების პროგრამაში სწორი და უტყუარი მონაცემების აღრიცხვის და თავისი ფუნქციების შესრულების, მათ შორის: სოციალური დახმარების, ჯანმრთელობის დაცვის, სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის, ადამიანური რესურსების მართვის და სხვა მიზნით საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიიღოს პერსონალური მონაცემები.

წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, დადგენილებით დამტკიცებულ მერიის დებულებას დაემატა 32[1] პრიმა მუხლი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით, კერძოდ 32[1] მუხლის **დებულებები** გავრცელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზეც, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106[1] მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და ერთობლივი საქმიანობის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს სააქციო საზოგადოება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. მუნიციპალიტეტს აგრეთვე უფლება აქვს, გახდეს სააქციო საზოგადოების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პარტნიორი/აქციონერი წევრი. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი არის კერძო სამართლის იურიდიული პირის დამფუძნებელი/ პარტნიორი/აქციონერი/წევრი ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, ხოლო ელექტრომული საქმისწარმოების სისტემა დანერგილია მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირებშიც, მიზანშეწონილია, აღნიშნული მუხლის ნორმა გავრცელდეს ამავე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზეც.

პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო-ხარჯვით ნაწილზე.

პროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.
პროექტი არ მოახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი 4

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“.**

აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთი კოპალიანმა:

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 დეკემბრის #22 დადგენილებით და განისაზღვრა 13469,2ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 9 თვეში ბიუჯეტში განხორციელდა 6 ცვლილება, რაც ძირითადად განპირობებულია საქართველოს მთავრობის განკარგულებებით. მთავრობის განკარგულებებით თანხის გამოყოფა ხდებოდა სხვადასხვა მიმართულებებით, მ/შორის

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფა“, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, ‘მუნიციპალიტეტისათვის ფინანსური დახმარების გადაცემა“, „დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფა“, 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის განაწილებით, რომელიც განისაზღვრა 2416310, ლარით , საიდანაც 2092966,25 ლარი არის საქართველოს მთავრობის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი და 323343,99 ლარი მუნიციპალიტეტის ძირითადი სახაზინო ანგარიშის ნაშთია. ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი თანხების ასახვით და ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების ზოგიერთ სახეობაში საგეგმო მაჩვენებელების ცვლილებით, შემოსული თანხების ბიუჯეტში ასახვით და პრიორიტეტებზე გადანაწილებით. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების გათვალისწინებით შეადგინა 25483,4 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9 თვის შემოსავლების გეგმა შეადგენდა 18863,3 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 16238,6 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 86,1 %-ით. მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 880,0ათ.ლარი ფაქტიურად შემოვიდა 1134,9 ათ.ლარი, რაც გეგმის 129,0 %-ია. დღგ შესრულდა 92,9%-ით (გეგმა 9250,5ათ.ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 8589,0ათ.ლარი) .გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 8224,7ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 6183,8 ათ ლარი, ანუ გეგმის 75,2 %, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა 460,9 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 407,6 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 92,4 %–ით, კაპიტალური ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 7793,8 ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 5776,2 ათ.ლარი, გეგმის 74,1%.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 508,1ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 331,0 ათ. ლარი ,გეგმა შესრულდა 65,2%–ით, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 196,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 155,3 ათ. ლარი, გეგმის 79,3 %–ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 12,4 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 4,1 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 33,1%–ით, შემოსავალი საქონელის და მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 67,1ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 26,2 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 39,1%–ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 56,3 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 22,1 ათ. ლარი ანუ გეგმის 39,3 %, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა იყო 78,7 ათ.ლარი და ფაქტიურად შემოსულია 98,2 ათ.ლარი გეგმა შესრულდა 124,8 %-ით. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალის გეგმა შესრულდა 161,5 %-ით. (გეგმა 65,1 ათ.ლარი, ფაქტი 105,1 ათ.ლარი) . როგორც შემოსულობების ციფრობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, შესრულების მაღალი მაჩვენებელია ქონების გადასახადში(129%), დღგ-ში(92,9%), შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების (124,8%) და არაფინანსური აქტივების კლებიდან (161,5%). შემოსავლების გეგმების შესრულების შესაბამისად იზრდება გადასახდელების დაფინანსება, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა პროგრამების შესრულებას.

გაწეული ხარჯებიდან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 1144,3 ათ. ლარი, დაიხარჯა 1062,8 ათ. ლარი, ათვისებული იქნა 92,8%. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 2966,1ათ ლარი, დაიხარჯა 2809,9 ათ ლარი, ანუ ათვისებულ იქნა 94,7 %-ით. სარეზერვო ფონდი დამტკიცებული იყო 50,0 ათ.ლარი, თვეში გაიხარჯა 18,7 ათ.ლარი, გეგმის 37,4%.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 10561,5ათ.ლარით და დაფინანსდა 6202,1 ათ.ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა–შენახვა დაფინანსდა 4220,9 ათ.ლარით, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 306,1 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 503,9 ათ. ლარით ,წყლის სისტემის განვითარება დაფინანსდა 220,9ათ.ლარით, ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები დაფინანსდა 83,3ათ. ლარი, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებების ხარჯია 48,4 ათ.ლარი, კომუნალური მომსახურეობა დაფინანსდა 122,7 ათ.ლარით, ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 87,9 ათ.ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 358,3 ათ.ლარით.

დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდა 10,9 ათ.ლარით. აღნიშნულ პრიორიტეტში გეგმის შესრულების მაჩვენებელი გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების ასახვა ბიუჯეტში ხორციელდება სრული მოცულობით ეტაპობრივად(გამომდინარე განკარულებების ცვლილებიდან), ხოლო ინფრასტრუქტურული ობიექტების შესრულება ხორციელდება თანახმად სახელმწიფო შეყიდვების კანონისა. მითითებულ პრიორიტეტში ზემოთ მითითებული პრობლემის გარდა(გრანტებთან დაკავშირებით),რამოდენიმე პროექტი დასრულების პროცესშია, გარკვეულ პროექტების შესრულება ახალი დაწყებულია, ნაწილი ხელშეკრულების გაფორმების პროცესშია და ყოველივე ეს ნიშნავს, რომ სამუშაოები აქტიურ ფაზაშია როგორცა საამშენებლო მიმართულებით,ასევე სარეაბილიტაციო ხაზით.

აქვე მინდა გაცნობო,თ რომ აღნიშნულ პრიორიტეტში მნიშვნელოვნად დაბალი შესრულება გვაქვს დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების პროგრამაში. როგორც საკრებულოსათვის ცნობილია საქართველოს მთავრობის განკარგულებით ჩვენი მუნიციპალიტეტი განთავისუფლდა თანადაფინანსების ვალდებულებისაგან (5%) 2023 წელს.

დასუფთავება და გარემოს დაცვა ღონისძიებები უნდა დაფინანსებულიყო 756,8 ათ.ლარით და დაფინანსდა 743,0ათ ლარით,გეგმა შესრულდა 98,2%-ით.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 94,3%-ით (გეგმა 1772,3ათ ლარი, ფაქტი - 1671,3 ათ. ლარი). მათ შორის: სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 94,1%–ით (გეგმა 1667,4ათ. ლარი, ფაქტიური – 1569,7 ათ. ლარი). მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 96,9 %–ით (გეგმა –104,9ათ. ლარი, ფაქტიური 101,6 ათ. ლარი).

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები უნდა დაფინანსებულიყო 3048,6 ათ.ლარით და დაფინანსდა 2816,4 ათ ლარით,გეგმა შესრულდა 93,9%-ით. მათ შორის: ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 93,5%-ით, (გეგმა 391,3 ათ.ლარი, ფაქტი 365,9 ათ.ლარი), საფეხბურთო კლუბი „ხვამლი„ დაფინანსდა 98,4%-ით (გეგმა 214,6 ათ.ლარი, ფაქტი 211,2 ათ.ლარი),ფრენბურთის კლუბი ცაგერი დაფინანსდა 90,3%-ით (გეგმა 211,1ათ.ლარი,ფაქტი 190,5ათ.ლარი) კულტურის ცენტრი დაფინანსდა 95,0%-ით, (გეგმა 422,2ათ. ლარი ფაქტი 401,1 ათ.ლარი), ისტორიული მუზეუმი დაფინანსდა 88,4%-ით (გეგმა 245,8 ათ. ლარი, ფაქტი 217,3ათ.ლარი) სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 96,3%-ით (გეგმა 110,5თ.ლარი, ფაქტი 106,4ათ.ლარი) სამხატვრო სკოლა დაფინანსდა 92,6%-ით (გეგმა 78,4 ათ. ლარი, ფაქტი 72,6 ათ.ლარი), მთავარი ბიბლიოთეკა დაფინანსდა 89,7 % – ით (გეგმა - 260,8 ათ ლარი, ფაქტიური - 233,8 ათ. ლარი), კულტურული ღონისძიებების 100%-ით, (გეგმა 137,5 ათ.ლარი, ფაქტი 137,5ათ.ლარი), რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსდა 82,7%-ით (გეგმა 28,3ათ.ლარი ფაქტი 23,4 ათ.ლარი), ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი" დაფინანსდა 91,8%-ით (გეგმა 182,2ათ.ლარი, ფაქტი 167,2 ათ.ლარი),ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაფინანსდა 98,7%-ით,(გეგმა 85,3 ათ.ლარი, ფაქტი 84,2ათ.ლარი),ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი დაფინანსდა 97,3%-ით (გეგმა 450,5ათ.ლარი,ფაქტი 438,3 ათ.ლარით), ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 93,0%-ით (გეგმა 154,7ათ.ლარი, ფაქტი 143,8ათ.ლარი). დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმი „ღია ცის ქვეშ“ დაფინანსტა 90,5 %-ით. (გეგმა 70,7ათ,ლარი, ფაქტიური შესრულება 64,0ათ,ლარი).

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 91,5%-ით (გეგმა 1059,7ათ.ლარი ფაქტი 969,6ათ.ლარი), მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 99,8%-ით (გეგმა 142,1 ათ. ლარი, ფაქტი 141,8 ათ.ლარი) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 91,4%-ით (გეგმა 803,9 ათ. ლარი, ფაქტი 735,0ათ.ლარი). უფასო სასადილოები დაფინანსდა 81,6 %-ით (გეგმა 113,8ათ.ლარი ფაქტი 92,9ათ. ლარით).

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“.**

საკითხი 5

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების განხორციელების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების განხორციელების შესახებ“.**

აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტმა იური ლარცულიანმა განმარტა, რომ განკარგულების პროექტის მომზდება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: ადგილობრივი სამგზავრო სატრანსპორტო მოძრაობის არსებული მარშუტების ნაწილობრივ დაფინანსებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვას აწარმოებდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია დამტკიცებული სამარშუტო სქემის შესაბამისად გამოცხადებულ ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულ იურიდიულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (წლის განმავლობაში 2 ეტაპად), შესაბამისად მიმდინარე წლის განმავლობაში მერიის მიერ გამოცხადებული იქნა ტენდერები ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების მომსახურების გაწევის მიზნით, რითაც შესაძლებელი გახდა ადგილობრივი საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვების ნაწილობრივი დაფინანსება. შესაბამისად შემცირდა მგზავრობის საბაზრო ღირებულება და მომსახურეობა გაეწია სოფლის მოსახლეობას შეღავათიან ფასებში, ხოლო 2026 წლისთვის მუნიციპალური ტრანსპორტის ექსპლოატაციასა და მოვლა-შენახვის განახორციელებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია.

განკარგულების პროექტის მიღებით მოწესრიგდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება, რაც გააუმჯობესებს მათ სოციალურ მდგომარეობას. განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, შესაბამისად თანხები გათვლილია ადგილობრივ ბიუჯეტში.

განკარგულების პროექტით განსახორციელებელი ღონისძიებები იგეგმება 2026 წლისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების განხორციელების შესახებ“.**

საკითხი 6

მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ტურიზმის და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **„მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ტურიზმის და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ“.**

აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ისაუბრა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა გიორგი კვირიკაშვილმა, საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ /ინფორმაცია თან ერთვის/.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **„მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ტურიზმის და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.**

საკითხი 7

„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ განკარგულების პროექტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ, აღნიშნა რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ საკუთრბაში დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთი ს/კ 89.14.28.007 კვ.მ. რომელიც მდებარებს ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ალპანაში (აჭარა). აღნიშნულ ნაკვეთზე განთავსებულია დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობა (სამსართულიანი), ასევე დამხმარე ნაგებობის ნაგრევები. დღეის მდგომარეობით, სიძველის გამო ინგრევა შენობის სართულებრივი გადაბმები და სახურავიც ნაწილობრივ ჩანგრეულია. ის დიდ საფრთხეს წარმოადგენს მომოჯნავედ მცხოვრები ოჯახისთვის. აღნიშნული დასტურდება ჩვენს ხელთ არსებული ექსპერტის დასკვნით, რომ შენობის აღდგენა შეუძლებელია და ექვემდებარება დემონტაჟს.

აქედან გამომდინარე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა და ახალი საექსპერტო შეფასების დასკვნის საფუძველზე - მისი პრივატიზება ელექტრონული აუქციონის ფორმით, სადაც აუქციონის გამოცხადების დროს პირობში ჩაიდება შენობის დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება შემძენის მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ სიტყვა ითხოვა საკრებულოს წევრმა გოგიტა ახვლედიანმა და წარმოადგინა წინადადება პირველკლასელთა კვებისათვის ბიუჯეტში თანხის გამოყოფის შესახებ.

საკრებულოს წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი წინადადება მნიშვნელოვანია, მაგრამ საკითხი კომპლექსურია და მოითხოვს ღრმა კვლევას.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ვასილ საღინაძე**